სსკგ-ის თავმჯდომარემ უცხოდმადიდებელი ეკლესიების მეთაურებს საშობაო მილოცვები გაუგზავნა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 12.25.2022. *მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ანტონიმ ქრისტეს შობა მიულოცა უცხოდმადიდებელი ეკლესიების მეთაურებს, რომლებიც ამ დღესასწაულს გრიგორიანული კალენდრით აღნიშნავენ. მისალოცი წერილები გაეგზავნათ, კერძოდ: სირიის ორთოდოქსალური ეკლესიის მეთაურს, ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქს მარ ეგნატე ეფრემ II-ს; რომის პაპს ფრანცისკეს; ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის მარონიტ პატრიარქს, ალ-რაის კარდინალს ბეშარე ბუტროსს; ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის, ალექსანდრიისა და იერუსალიმის ბერძნულ-მელქიტური ეკლესიის პატრიარქს იუსეფ I აბსისს; კენტერბერიის მთავარეპისკოპოსს, სრულიად ინგლისის პრიმასსა და მიტროპოლიტს ჯასტინ უელბის; აღმოსავლეთის ასურეთის ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქს მარ ავე III-ს;აღმოსავლეთის კათოლიკოსს, მალანკარელ მიტროპოლიტს ბასილი მარ თომა მათე III-ს; ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის სირო-კათოლიკე პატრიარქს ეგნატე იუსეფ III იუნანს; სომხეთის კათოლიკური ეკლესიის მეთაურს, კილიკიის კათოლიკოს-პატრიარქს რაფაელ პეტროს XXI-ს; კოპენჰაგენის ეპისკოპოსს, დოქტორ პეტერ სკოვ-იაკობსენს (დანიის ეკლესია); ფინეთის ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის პრიმასს, ტურკუსა და ფინეთის მთავარეპისკოპოსს დოქტორ ტაპიო ლუომეს.*

მილოცვაში ნათქვამია:

გილოცავთ ქრისტეს შობის დღესასწაულს!

ამჟამად ქვეყანა კვლავ განათებულია *უდიდესი სიხარულის მაუწყებელი* (ლკ. 2:10) ბეთლემის ვარსკვლავის არაღამისეული შუქით. უბადრუკი მღვიმის თაღებქვეშ ყველა ერს *გამოუბრწყინდა მადლი იგი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი* (2 კორ. 8:9) და *აღმობრწყინდა მზე სიმართლისა* (მალ. 4:2), რომელმაც მსოფლიოს ღვთივბოძებული ბედნიერებისკენ მოუწოდა და დასაბამი დაუდო ახალ აღთქმას. სასწაულებრივად ხორცში გამოჩენილმა უფალმა დაე, განამრავლოს ამ წმინდა დღეებში ანგელოზებრივი მხიარულება და *შეგვეწიოს ცხონების საქმეში* (1 თეს. 5:9) მისი შობის ყოვლადდიდებული საიდუმლოს თაყვანისმცემელთ.

გისურვებთ სულიერი და ხორციელი ძალების სიმტკიცეს და განკაცებული ძე ღვთისას ხვავრიელ შეწევნას.

შობილ ქრისტეში სიყვარულით,

ვოლოკოლამსკელი მიტროპოლიტი ანტონი,
მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89889/